საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND INFRASTRUCTURE OF GEORGIA

3830-01-2-201908091039

N 01/3830
09/08/2019

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“

თქვენი მიმდინარე წლის 23 ივლისის N9664/1 *(სამინისტროში რეგ. ნომერი N6669/01, 23/07/2019)* წერილს პასუხად გაცნობებთ, რომ სამინისტრო არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს მიწის შესყიდვის პროცედურები, კანონმდებლობის შესაბამისად.

გრიგოლ კაცია

მინისტრის მოადგილე

საქართველო, 0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12, ტელ: (+995 32) 510 700; ფაქსი: (+995 32) 510 722
12, Kazbegi Ave., 0160, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 700; Fax: (+995 32) 510 722

საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

N 9664/1
23/07/2019

9664-1-2-201907231507

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს
ქალბატონ მაია ცქიტიშვილს

ქალბატონო მაია,

როგორც მოგეხსენებათ, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" (შემდგომში-კომპანია) აზიის განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებული „ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამის", მე-6 ტრანშის ფარგლებში, ახორციელებს ქ. მარნეულისა და ქ. ბოლნისის წყალარინების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტს (MAR-01), რომელიც ითვალისწინებს ორივე ქალაქის წყალარინების ქსელების რეაბილიტაციას, ასევე ქ. ბოლნისიდან ქალაქ მარნეულამდე წყალარინების მაგისტრალური გამყვანი კოლექტორის მშენებლობასა და ექსპლუატაციას.

საპროექტო საკანალიზაციო გამყვანი კოლექტორი ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კვეთს კერძო საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებს, რისთვისაც აზიის განვითარების ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის (ADB SPS 2009) და საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით კომპანიამ შეიმუშავა „მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა"(LARP), რომელიც მოწონებულია აზიის განვითარების ბანკის მიერ. მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის მიხედვით, გათვალისწინებულია ცამეტი ერთეული კერძო საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის გამიჯვნის, ნასყიდობის და საკომპენსაციო ხელშეკრულებების გაფორმება და სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში" შესაბამისი პროცედურების განხორციელება.

დანართის სახით წარმოგიდგენთ აღნიშნულ „მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმას"(LARP) და გთხოვთ, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" წესდების მე-7-ე მუხლის მე-9-ე პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის თანახმად მოგვცეთ თანხმობა, რათა განვახორციელოთ აღნიშნული გეგმით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთების შესყიდვის და კომპენსაციის გაცემის პროცედურები.

**დანართი:** 1. მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა.
2. ბიუჯეტი.
3. აზიის განვითარების ბანკის თანხმობა განხორციელებაზე

პატივისცემით,

ეკატერინე გალდავა

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

შპს L.L.C.
საქართველო, ქ.თბილისი 0186
ვაჟა-ფშაველას გამ. 76ბ
ტელ: (99532) 2919060
ს/კ: 412670097
e-mail: info@water.gov.ge
www.water.gov.ge
76b, Vazha-Pshavela Ave.
Tbilisi 0186, Georgia
Tel: (995 32) 2 91 90 60

დირექტორი

ხელმძღვანელობა